ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ მამუკა წოწერიას ახალგზრდული

სათათბიროს თავმჯდომარის

ილიარიონ ფიფიას +995 557 72 04 53

პ/ნ 62009004698

ს/კ 420000091

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო მამუკა,

ახალგაზრდული სათათბირო არის ახალგაზრდების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს წესდების შესაბამისად და ემსახურება ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებას და მათი განვითარების ხელშეწყობას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ახალგაზრდული სათათბიროს მიზანია ახალგაზრდების განვითარება და მათი გააქტიურება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე, ახალგარზდების ფიზიკური, გონებრივი, სულიერი განვითარების ხელშეწყობა;

2022 წლის 18 ივნისს ახალგაზრდულმა სათათბირომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით ზუგდიდის ახალგაზრდული ფორუმი 2022 გამართა. ფორუმმა იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებიდან 150-ზე მეტი ახალგაზრდა შეკრიბა. ფორუმს დაესწრნენ ახალგაზრდები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდანაც, მათ რეგიონში არსებული აქტუალური საკითხები განეხილეს.

ფორუმის მთავარი მიზანი რეგიონულ დონეზე ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გამოკვეთა, მათი მოგვარების გზების მოძიება და ადვოკატირების პროცესების ხელშეწყობა.

სწორედ ამ მიზნით, ფორუმი ითვალისწინებდა მცირე სამუშაო ჯგუფებში მუშაობას, რეგიონში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცირების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

სამუშაო ჯგუფები განაწილები იყო შემდეგი თემების მიხედვით:

- ახალგაზრდების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ახალგაზდრული სერვისების არსებობა/არასებობა-ხელმისაწვდომობა და ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა;
- ახალგაზდრული ინტერესები და საჭიროებები თემში;
- ახალგაზდრული ორგანზიაციების როლი ახალგაზდრების მონაწილეობის და მათი კომპეტენციების განვითარების პროცესში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ახალგაზრდების მხარდაჭერაში;

ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები **იხ. დანართი #1**

გთხოვთ, ახალგაზრდული სათათბიროს და ფორუმში მონაწილე ახალგაზრდების მიერ შემუშვებული რეკომენდაციები განიხილოთ და გაითვალისწინოთ 2023-2027 წლის მუნიციპალაური ახალაგზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესში.

ახალგაზრდებმა აღნიშნული რეკომენდაციებიდან პრიორიტეტი მიანიჭეს 5 რეკომენდაციას **იხ. დანართი #2.** გთხოვთ, ეს რეკომენდციები გაითვალსიწინოთ 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

ასევე, გთხოვთ უზრუნველყოთ გამოგზავნილი რეკომენდაციების მიწოდება ფორუმში მონაწილე სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

თარიღი: 26/10/2022

ახალგაზრდული სათათბიროს და ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილე ახალგაზრდების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

სამუშაო ჯგუფების თემები:

#1 ახალგაზრდების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

#2 ახალგაზდრული სერვისების არსებობა/არასებობა-ხელმისაწვდომობა და ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა;

#3 ახალგაზდრული ინტერესები და საჭიროებები თემში;

#4 ახალგაზდრული ორგანზიაციების როლი ახალგაზდრების მონაწილეობის და მათი კომპეტენციების განვითარების პროცესში;

#5 ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ახალგაზრდების მხარდაჭერაში;

მიღებული რეკომენდაცები:

- წელიწადში ოთხჯერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან (პროგრამებზე, სერვისებზე ინფორმაციების გაცვლის მიზნით);
- თემატური ფორუმების ჩატარება (დასაქმების, მოხალისეობის, ახალაგზრდული და სხვა);
- ონლაინ პლატფორმის შექმნა (აპლიკაცია, სადაც მუნიციპალიტტეტში არსებულ სიახლეებზე, პროგრამებზე, ღონისძიებებზე, სერვისებზე ინფორმაცია იქნება განთავსებული);
- დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება და რეგიონის საჭიროებებით დაინტერესების ხელშეწყობა;
- ახალაგზრდული მუშაკების როლის გაძლიერება, დასაქმება და ჩართვა ახალგაზრდულ საქმიანობაში.
- ეკო მეგობრული საწარმოების შექმნა, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები;
- მუნიციპალური ბოუჯეტის დაგეგმვაში ახალგაზრდების ჩართულობის მდგრადი მექანიზმის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე ახალგაზრდების საჭიროებების და ინტერესების კვლევის ჩატარება;
- კვარტალური შეხვედრები ახალგაზრდებთან, მუნიციპალური ახალგაზრდული მიმართულების სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში მათი ჩართულობა;

- ახალგაზრდული სივრცეების დაარსება ქალაქსა და სოფლებში;
- მოქნილი სატრანსპორტო გრაფიკის შემუშავება;
- მუნიციპალიტეტების ქალაქებსა და სოფლებში ქუჩის ტრენაჟორების და საბავშვო სივრცეების მოწყობა;
- ახალგაზრდების წამახალისებელი პროგრამები (წლის აქტიური ახალაზრდები, მოხალისეების პრემია და სხვა);
- ფასიანი სტაჟირების პროგრამების დანერგვა საჯარო სექტორში;
- სკოლების გაძლიერება ინკლუზიური მიმარულებით (კადრების გადამზადება, საჭირო ინვენტარის შეძენა);
- მუნიციპალიტეტების სოფლების ინტერნეტიზაცია/ლობირება ინტერნეტ კომპანიებთან;
- ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული პირების ფუნქციების გადანაწილება/ ინფორმაციის და ადამიანური რესურსის ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის;
- ადაპტირებული გარემო შშმ/სსმ პირებისთვის ყველა სექტორში;
- საკონსულტაციო ცენტრი ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული მუშაკებით დაკომპლექტებული - ახალგაზრდების იდეების, საჭიროებების იდენტიფიკაციის, მხარდაჭერისა და რეფერირებისთვის.

დანართი #2

2023 წლის სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული რეკომენდაციები:

შემუშავებული რეკომენდაცები:

- კვარტალური საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ყველა სექტორის მონაწილეობით - საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდები, რესურსცენტრი და სკოლის წარმომადგენლები.
  - **მიზანი:** მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა რესურსზე, პროგრამაზე თუ მომსახურებაზე ინფორმაციის გავრცელება/გაზიარება.
  - **ხედვა:** ახალგაზრდული სათათბირო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალაგზრდული განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად ორგანიზებას გაუწევს კვვარტალურ შეხვედრებს. ინფორმაციას გაავრცელებს და მოიწვევს შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია შეხვედრებზე მერის ან მერის მოადგილეების დასწრება და მათი მხრიდან მუნიციპალური პროგრამებსა თუ სერვისებზე ინფორმაციის გაზიარება.
    შეხვედრები ჩატარდება ზუგდიდის მერიის დარბაში.

- მუნიციპალიტეტში თემატური ფორუმების ჩატარება (დასაქმების, მოხალისეობის, ახალგაზრდული ფორუმები და სხვა);
  - **მიზანი:** ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა, უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, მათი ცნობიერების დონის ამაღლება;
  - **ხედვა:** ახალაგზრდული სათათბირო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების წარმომადგენლები წელიწადში სამჯერ ორგანიზებას გაუწევენ თემატურ ფორუმებს, რომელიც ახალაგზრდების პრობლემების და საჭიროებების კვლევაზე იქნება დაფუძნებული. ფორუმებზე მოწვული იქნებიან შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები, ახალგაზრდული საქმიანობის ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზების მხარდაჭერას სხვადასხვა ფორმით.
    ფორუმისთვის შეიქმნება საორგანზიაციო ჯგუფი, როემლიც დაკოპლექტდება ზუგდიდში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ახალგაზდრული

მუშაკებისგან. ფორუმის პარტიორად შესაძლოა მოვიაზროთ სხვა დაინტერესებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანზიაციები;

- ახალგაზრდების წამახალისებელი პროგრამები (წლის აქტიური ახალგაზრდების დაჯილდოვება, წლის წარმატებული ახალგაზრდა და სხვა)
    - **მიზანი:** ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდა და მათი მხარდაჭერა.
    - **ხედვა:** ახალაგზრდული სათათბირო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების წარმომადგენლები ერთობლივად შეიმუშავებენ ახალაგზრდებისთვის წამახალისებელ პროგრმებს. შემუშავდება კონკურსის პირობები, კრიტერიუმები, რომელსაც სპეციალურად შექმნილი ჟიურის წევრები შეაფასებენ. გამარჯვებული ახალგარზდები დაჯილდოვდებიან ახალგაზრდული დღეების ფარგელბში დაგეგმილი ღონისძებების დროს;
- ფასიანი სტაჟირების პროგრამები საჯარო სექტორში;
    - **მიზანი:** ახალაგზრდების დასაქმებისთვსის საჭირო უნარების განვითარება, მათი დასაქმების მხარდაჭერა და ეკონომიკური გაძლიერება.
    - **ხედვა:** საჯარო სექტორში გამოცხადდეს სტუდენტებისთვის ფასიანი სტაჟირების პროგრამა კონკრეტული ვადით და მოქნილი გრაფიკით, რათა სწავლაში არ შეეშალოთ ხელი. ამით ახალგაზრდებს გავუზრდით მოტივაციას და დავანახებთ რომ საჯარო სექტორი ღიაა ახალგაზრდების მიღებისთვის, მივცემთ სამუშაო გამოცდილებას, რაც მათი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მხარაჭერაა, ასევე მათ ექნებათ შესაძლებლობა ნახონ როგორ მუშაობს ესა თუ ის სამსახური.
- ახალგაზრდული მუშაკებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ცენტრი ახალგაზრდებისთვის;
    - **მიზანი:** ახალგაზრდების იდეებისა და საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათი მხარდაჭერა და რეფერირება.
    - **ხედვა:** ახალაგზრდულ სათათბიროში ან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მნიშვენლოვანია შეიქმნას ახალგაზრდული მუშაკებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ცენტრი.

      დღეს, ახალგაზრდები ღიად ვერ/არ აფიქსირებენ თავიანთ ინტერესებს თუ საჭიერობებს. ეს ცენტრი საშუალებას მისცემს ნებისმეირ ახალაგზრდას თუ ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებს უფასოდ გაიარონ კონსულტაცია, მათთვსის სანდო გარემოში ღიად დააფიქსირონ თავიანთი საჭიროებები თუ მოსაზრებები. ახალგაზრდული მუშაკები ანალიზის საფუძველზე გადაამისამართებენ შესაბამის სამსახურთან ან ორგანიზაციასთან. კვარტალურად გაკეთდება შეხვედრების

ანალიზი/კვლევა, რომელიც წარედგინება მერიის შესაბამის სამსახურს, რომ გათვალისწინებული იქნეს სამოქმედო გეგმაში.